საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თუხარელი მაია დიმიტრის ასული

თუხარელი მაია დიმიტრის ასული (დ. 11. VI. 1960, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (2001). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი რუსული ენისა და ლიტ-რის სპეციალობით (1981). იმავე წელს მუშაობა დაიწყო იქვე რუს. ენისა და ლიტ-რის კათედრაზე. 1998–2006 პარალელურად იყო თსუ-ის ზუგდიდის ფილიალის ფილოლოგიის ფაკ-ტის რუს. ენისა და ლიტ-რის კათედრის ხელმძღვანელი. 2012იდან არის თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნ. ფაკ-ტის ასოცირებული პროფესორი. იკვლევს თ. დოსტოევსკის, ა. ჩეხოვის, ვ. ბრიუსოვის, მ. ლერმონტოვის და სხვა რუს მწერალთა შემოქმედებას, ქართ. რუსისტიკის საკითხებს. აქვეყნებს ნაშრომებს სამეცნ. პერიოდულ გამოცემებში.